# გიკური კალენდარი

# 2014



## იანვარი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | **2** | **3** | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | **15** | 16 | 17 | 18 | 19 |
| 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| 27 | **28** | 29 | 30 | 31 | | |

## თებერვალი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | **4** | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| **10** | 11 | **12** | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | | |

## მარტი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | **8** | **9** |
| **10** | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |

## აპრილი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | **12** | 13 |
| **14** | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | **20** |
| 21 | 22 | 23 | 24 | **25** | 26 | **27** |
| 28 | 29 | 30 | | | | |

## მაისი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | **4** |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | **25** |
| **26** | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | |

## ივნისი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | **10** | 11 | 12 | 13 | **14** | 15 |
| **16** | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | **28** | 29 |
| 30 | | | | | | |

## ივლისი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | **2** | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | **11** | 12 | 13 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | **25** | 26 | 27 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | |

## აგვისტო

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **1** | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| **11** | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | **24** |
| 25 | 26 | 27 | 28 | **29** | 30 | 31 |

## სექტემბერი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **8** | 9 | 10 | 11 | 12 | **13** | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | **19** | **20** | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | **28** |
| 29 | 30 | | | | | |

## ოქტომბერი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 20 | 21 | 22 | **23** | 24 | 25 | 26 |
| 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | |

## ნოემბერი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | **5** | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| **17** | 18 | **19** | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | **30** |

## დეკემბერი

| ო | ს | ო | ხ | პ | შ | კ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **2** | 3 | 4 | **5** | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | **23** | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | **30** | 31 | | | | |

2 იანვარი
### სამეცნიერო ფანტასტიკის დღე
ეს დღე აიზეკ აზიმოვის დაბადების დღეს აღინიშნება. მას კი დიდი წარდგენა არ სჭირდება — იგი სამეცნიერო ფანტასტიკის მამა და უამრავი ფანტასტის შთაგონების წყაროა.

3 იანვარი
### ტოლკინის დღე
ეს მისი დაბადების დღეა — სწორედ ამ დღეს ზეიმობენ ფენტეზის და LOTR-ის ფანები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

15 იანვარი
### ვიკიპედიის დღე
უფასო ონლაინ ენციკლოპედია სწორედ 2001 წლის ამ დღეს გაეშვა. ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საიტის დაბადებას როგორც ონლაინ, ოფლაინშიც აღნიშნავენ.

28 იანვარი
### პირად მონაცემთა უსაფრთხოების დღე
ეს საერთაშორისო დღეა, რომლის მთავარი მიზანი პირადი და არამხოლოდ პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაა.

4 თებერვალი
### SIMS-ის დღე
2000 წელს, სწორედ ამ დღეს გაეშვა თამაში The Sims.

10 თებერვალი
### კომპიუტერის გასუფთავების დღე
ეს დღე 2000 წლიდან ყოველწლიურად, თებერვლის მეორე ორშაბათს აღინიშნება.

12 თებერვალი
### დარვინის დღე
იგი მის დაბადების დღეზე აღინიშნება, არამხოლოდ დარვინის „თაყვანისმცემლების“, არამედ ევოლუციის თეორიის მხარდამჭერებისა და კრეაციონიზმის მოწინააღმდეგეების მიერაც.

8 მარტი
### რალფ ბაერის დღე
ბაერი ვიდეო-თამაშების და კონსოლების გამომგონებლად ითვლება. თავის „ყავისფერი ყუთის“ პროტოტიპზე მუშაობა მან ჯერკიდევ 1966 წელს დაიწყო.

9 მარტი
### არის სიცოცხლე სატურნზე?-ს დღე
2008 წლის სწორედ ამ დღეს აღმოაჩინეს სატურნის თანამგზავრ ენცელადუსზე წყალი.

10 მარტი
### დოთკომ-ბუშტის გახეთქვის დღე
Dot-com ბუშტს ეძახიან პერიოდს ამერიკის ეკონომიკაში, როდესაც ყველა ინვესტორისთვის ყველაზე მიმზიდველი სფერო ონლაინ ბიზნესი იყო. იგი „გასკდა“ 2000 წელს, ამ დღეს, როცა NASDAQ 5084-ზე დაიხურა.

14 მარტი
### პი-ს დღე
მესამე თვის მეთოთხმეტე დღე (3,14) მუდმივა π-ს ეძღვნება. იდეა ალბათ გასაგებია :)

12 აპრილი
### იურის ღამე
იური გაგარინის ფრენის იუბილეს რაკეტების მოყვარულები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნავენ — როგორც წესი, ასაფეთქებლებითა და არყით.

14 აპრილი
### პაკმენის დღე
ლეგენდარული პაკმენის დებიუტი სწორედ 1980 წლის ამ დღეს შედგა.

20 აპრილი
### მარიხუანას დღე
ეს დღე მსოფლიოში კანაბისის მოხმარების დღესასწაულია (420). გარდა ჩვეულებრივი შეკრებებისა, იმართება პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებიც, სადაც კანაბისის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით გამოდიან ამ კულტურის მხარდამჭერები.

25 აპრილი
### დნმ-ის დღე
1953 წლის სწორედ ამ დღეს გამოქვეყნდა პირველი წერილი დნმ-ის სტრუქტურის შესახებ ჟურნალში Nature.

27 აპრილი
### მორზეს კოდის დღე
ამ დღეს სემუელ მორზეს დაბადების დღეს აღნიშნავენ. იგი სამყაროს 1791 წელს მოევლინა და 1836 წელს კოდის თანაავტორი გახდა.

4 მაისი
### „ვარსკვლავური ომების“ დღე
May the 4th be with you — სწორედ ასეთი გიკური ახსნა აქვს მრავალი თაობის ფავორიტი „ვარსკვლავური ომების“ დღის თარიღს.

25 მაისი
### გიკური პრაიდის დღე
ეს დღე გიკური კულტურის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. თარიღიც შესაბამისადაა შერჩეული — 1977 წლის სწორედ ამ დღეს გამოვიდა კინოეკრანებზე „ვარსკვლავური ომების“ პირველი ფილმი (და მეოთხე ეპიზოდი).

26 მაისი
### ქაღალდის თვითმფრინავების დღე
ამ დღეს ქაღალდის თვითმფრინავების მოყვარულები იკრიბებიან და თვითმფრინავებს აკეთებენ :) ასევე, პროგრამაშია ხოლმე კონკურსები — ყველაზე შორს და ყველაზე დიდხანს მფრენი ქმნილების გამოსავლენად.

10 ივნისი
### ბურთულიანი კალმის დღე
ეს ყველაზე პოპულარული საწერი მოწყობილობა 1943 წელს გამოიგონეს არგენტინაში ძმებმა ლასლო და გეორგ ბიროებმა. პატენტი ტექნოლოგიაზე სწორედ ამ დღეს შეიტანეს, პირველი ასეთი კალმის ფასი კი $145 იყო (ინფლაციის გათვალისწინებით).

14 ივნისი
### ბლოგერთა საერთაშორისო დღე
ბლოგერების დღე (InWeDay) 2004 წლიდან აღინიშნება. ამ დროს, მთელ მსოფლიოში იკრიბებიან ბლოგერები, ონლაინ-ჟურნალისტები და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ.

16 ივნისი
### ბლუმსდეი
1904 წლის სწორედ ამ ოთხშაბათს ხდება მოქმედება ჯეიმს ჯოისის "ულისეში". თაყვანისმცემლები ყოველი წლის 16 ივნისს ბლუმის დღეს აღნიშნავენ, აწყობენ კითხვის საღამოებს, ხოლო დუბლინში საზეიმო აღლუმი იმართება, მოქმედი გმირების მონაწილეობით.

28 ივნისი
### ტაუ-ს დღე
ტაუ (τ) ცნობილი პი-ს ალტერნატიული კონსტანტაა, რომელიც უდრის 2π-ს. ზოგი თვლის, რომ წრის გარშემოწერილობის მის დიამეტრთან შეფარდების გამოსახვა ტაუ-თი უფრო სწორია. ამ დღეს კი, 14 მარტის საპასუხოდ, ტაუ-ს (6,28) მხარდამჭერები აღნიშნავენ.

2 ივლისი
### ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მსოფლიო დღე
ამ დღეს ამო-ს ენთუზიასტები აღნიშნავენ — ადამიანები, რომლებიც გატაცებულნი არიან ისტორიებით უცხოპლანეტელებზე, მფრინავ თეფშებზე და სახელმწიფო შეთქმულების თეორიებზე. 1947 წლის 2 ივლისი კი როზუელის ცნობილი ინციდენტის დღეა.

11 ივლისი
### სამართლიანი გამოყენების დღე
დღე აღნიშნავს საავტორო უფლებებით დაცული მასალების სამართლიანი გამოყენების პრაქტიკას (ე.წ. fair use) და იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც წლიდან წლამდე ხდება მსოფლიოს კანონმდებლობაში კოპირაიტის კუთხით.

25 ივლისი
### სისტემურ ადმინისტრატორთა დაფასების დღე
ბევრი თვლის, რომ სისადმინები ერთ-ერთი ყველაზე დაუფასებელი ხალხია. ამიტომ ამ დღეს, ყველას მოუწოდებენ, დააფასონ და აღნიშნონ თავიანთი IT-სამსახურის თანამშრომლების შრომა და დაღვრილი ოფლი — თუნდაც მხოლოდ პიცით, ტკბილეულით და კოკა-კოლით.

1-ლი აგვისტო
### ლუდის საერთაშორისო დღე
ლუდის მოყვარულთათვის მთავარი დღესასწაული ყოველ წელს, აგვისტოს პირველ პარასკევს აღინიშნება. ამ დღეს მთელს მსოფლიოში იკრიბებიან, რათა მიირთვან ლუდი და აღნიშნონ ამ ინდუსტრიაში ჩართული ყველა პირის წვლილი, ლუდის მხარშავიდან მის ჩამომსხმელამდე.

11 აგვისტო
### ხსნადი ყავის დღე
გიკების ეს საწვავი 1901 წლის სწორედ ამ დღეს გახდა მომენტალური მომზადების. ყავის გამომშრალი, გრანულებიანი ფორმით გამოშვება იაპონელმა სატორი კატომ გამოიგონა.

24 აგვისტო
### პლუტონის საპატიო დღე
2006 წლის ამ ტრაგიკულ დღეს ჩამოერთვა პლუტონს პლანეტის სტატუსი. თუმცა, პლუტონის ფანები საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და დღემდე აგრძელებენ პროტესტის გამოხატვას საყვარელი პლანეტის მხარდასაჭერად.

29 აგვისტო
### განკითხვის დღე
ამ დღეს „ტერმინატორის“ თაყვანისმცემლები აღნიშნავენ. სწორედ 29 აგვისტოს დადგა კაცობრიობის განკითხვის დღე — როდესაც სქაინეტის ხელოვნურმა ინტელექტმა ცნობიერება შეიძინა და ადამიანთა მოდგმის განადგურება გადაწყვიტა.

8 სექტემბერი
### "სტარ ტრეკის" დღე
ყველა ჭეშმარიტი გიკის მთავარი დღესასწაული — 1966 წლის ამ დღეს „სტარ ტრეკის“ პირველი ეპიზოდი გამოვიდა ამერიკის ტელეეკრანებზე.

13 სექტემბერი
### პროგრამისტის დღე
თანამედროვე სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროს ეს წარმომადგენლები, თავის პროფესიულ დღესასწაულს წელიწადის 256-ე (თექვსმეტობითში — მესხე) დღეს აღნიშნავენ.

19 სექტემბერი
### მეკობრული ლაპარაკის საერთაშორისო დღე
Ahoy! ამ დღეს მთელი ნეტი (და არა მხოლოდ) მეკობრულ სლენგზე იწყებს ლაპარაკს. სულაც არ არის აუცილებელი ამ დიალექტის ზედმიწევნით ცოდნა — რამდენიმე შორისდებულის ხმარებაც საკმარისია, რომ ზოგიერთ ფორუმზე მთვარიდან ჩამოფრენილი არ გიწოდონ.

20 სექტემბერი
### პროგრამული უზრუნველყოფის თავისუფლების დღე
ამ დღის მიზანი უფასო პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ამ მოდელით მომუშავეთა დაფასებაა. იგი ყოველი წელს, სექტემბრის მესამე შაბათს აღინიშნება და ხანდახან მეკობრული ლაპარაკის დღესაც ემთხვევა ხოლმე :)

28 სექტემბერი
### სულელური კითხვების დასმის დღე
ეს დღე ძირითადად სასწავლებლებში აღინიშნება. იგი 1980-იანი წლების ამერიკაში, მასწავლებლების და ლექტორების მიერ დამკვიდრდა, რომელთაც სურდათ, ამით მოსწავლეთა ჩართულობა და მეტი კითხვების დასმა წაეხალისებინათ.

23 ოქტომბერი
### მოლის დღე
ეს დღე ქიმიკოსთა არაოფიციალური დღესასწაულია, მისი სახელი კი ნივთიერების რაოდენობის ერთეულიდან გამომდინარეობს. როგორც წესი, საზეიმო შეკრებებზე Myth Busters-ის მარათონებს აწყობენ ხოლმე.

5 ნოემბერი
### "უკან, მომავალში"-ს დღე
1955 წლის 5 ნოემბერს დოქტორ ემეტ ბრაუნს flux capacitor-ის იდეა დაებადა, რომელიც საბოლოოდ ლეგენდარული DeLorean-ის დროის მანქანას დაედო საფუძვლად. გენიალური ტრილოგიის თაყვანისმცემლები ამ დღეს 80-იანი წლების რეტრო-ფუტურისტული სტილის წვეულებებით აღნიშნავენ ხოლმე.

17 ნოემბერი
### სტუდენტთა საერთაშორისო დღე
ეს დღე მთელ მსოფლიოში სტუდენტების დღესასწაულია. ამ დროს აღინიშნება სტუდენტების როლი თანამედროვე საზოგადოებაში. თარიღის მსგავსი აღნიშვნა 1939 წლის მოვლენების საპირისპიროა, როდესაც გერმანელები ჩეხეთის უნივერსიტეტებს დაესხნენ თავს და უამრავი სტუდენტი მოკლეს ან საკონცენტრაციო ბანაკებში გადააგზავნეს.

19 ნოემბერი
### World of Warcraft-ის დღე
ვორკრაფტი — მილიონობით გიკის საყვარელი სამყარო და უმძიმესი გამოცდა მათი მეუღლეებისთვის, 2004 წლის სწორედ ამ დღეს გაეშვა.

30 ნოემბერი
### კომპიუტერული უსაფრთხოების დღე
ეს დღე 1988 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანი IT-უსაფრთხოების კუთხით ხალხის ინფორმირებაა. ეს ის დღეა, როდესაც ყველამ, როგორც მინიმუმ, უნდა დაცვალოს პაროლები სხვადასხვა საიტებზე და აუცილებლად განაახლოს (ან დაიყენოს) ანტივირუსი.

2 დეკემბერი
### ქართული ინტერნეტის დღე
ქართული ინტერნეტი იზრდება, ვითარდება და მას საკუთარი დღეც სჭირდება. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამ თარიღში უნდა აღინიშნებოდეს ეს დღე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 1992 წლის ამ დღეს დარეგისტრირდა IANA-ში .ge ზონა და, შესაბამისად, ამ დღეს დაიბადა ქართული ინტერნეტიც. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწაულებრივი დამთხვევით, ომედიას დაბადების დღეც 2 დეკემბერია :)

5 დეკემბერი
### ნინძის დღე
მეკობრულად ლაპარაკის დღის ექვივალენტი, იმ განსხვავებით, რომ ნინძები ცოტას და ჩუმად ლაპარაკობენ. ასერომ, ამ დღეს უბრალოდ ნიღაბი ან შავი ტანსაცმელიც საკმარისი იქნება.

23 დეკემბერი
### ფესტივუსი
ფესტივუსი Seinfeld-ის ფანების ალტერნატიული შობაა. მისი აღნიშვნისას მთავარია შობასავით არ მოხდეს ზედმეტი კომერციალიზაცია. ეს არის დღესასწაული სიკეთის, გაცემისა და ქველმოქმედების. მისი ატრიბუტები ფესტივუსის ბოძი და ხორცის რულეტია.

30 დეკემბერი
### ჩვენ მარტო არ ვართ-დღე
1924 წლის ამ დღეს ედვინ ჰაბლმა აღმოაჩინა, რომ ჩვენი ირმის ნახტომის გარდა, სხვა გალაქტიკებიც არსებობენ. (დიახ, სწორედ მისი სახელი ჰქვია ორბიტალურ ტელესკოპს). ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ სამყაროში ჩვენ მარტო არ ვართ :)

© ომედია

კალენდრის საბეჭდი ვერსია: omedia.ge/calendar

ომედია